ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი № 04

დაბა ქედა

10 ოქტომბერი, 2019 წელი

სხდომა დაიწყო 11:00

სხდომა დამთავრდა 12:00

სხდომას თავმჯდომარეობდა რომან დავითაძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - გენდერული საბჭოს თავმჯდომარე;
თეა შარაშიძე - საბჭოს წევრი;
მაგდა მახარაძე - საბჭოს წევრი;
ინდირა გორგაძე - საბჭოს წევრი;
თინა თებიძე - საბჭოს წევრი;
ზაზა დავითაძე - საბჭოს წევრი;
ჰამიდა ზოიძე - საბჭოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
ოთარ ხარაძე - საბჭოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საბჭოს წევრი;
მადონა ფალავანდიშვილი - საბჭოს წევრი;
მამია გვარიშვილი - საბჭოს წევრი;

სხდომის დაწყებამდე ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ რომან დავითაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის №110 ბრძანება ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს №04 სხდომის მოწვევის შესახებ.

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული

საბჭოს სხდომა №04 სხდომა

10 ოქტომბერი 2019 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	რომან დავითაძე	საბჭოს თავმჯდომარე	
2	თეა შარაშიძე	საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	
3	მაგდა მახარაძე	საბჭოს მდივანი	
4	ინდირა გორგაძე	საბჭოს წევრი	
5	თინა თებიძე	საბჭოს წევრი	
6	ოთარ ხარაძე	საბჭოს წევრი	
7	მზია ბოლქვაძე	საბჭოს წევრი	
8	მადონა ფალავანდიშვილი	საბჭოს წევრი	
9	მამია გვარიშვილი	საბჭოს წევრი	
10	ზაზა დავითაძე	საბჭოს წევრი	
11	ჰამიდა ზოიძე	საბჭოს წევრი	

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ რომან დავითაძემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. **გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოცხადებული საკონკურსო ესეების შეფასება და გამარჯვებულთა გამოვლენა.**

საბჭომ განიხილა გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოცხადებული საკონკურსო ესეების შეფასება და გამარჯვებულთა გამოვლენა. საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთეს გენდერული საბჭოს თითოეულმა წევრმა და შეაფასეს მოსწავლეების მიერ ელექტრონულად გამოგზავნილი ესეები „ახალგაზრდა გოგონათა საერთაშორისო დღესთან" დაკავშირებით. გამოგზავნილი ნამუშევრებიდან გენდერული საბჭოს წევრებმა გამოავლინეს შემდეგი გამარჯვებული ესეები „ნაბიჯი თანასწორობისკენ": I ადგილი ნომინაციაში „საუკეთესო ესე" – ანა ალიქაძე ოქტომბრის საჯარო სკოლა, II ადგილი „კრეატიული ნაშრომი" – შალვა დევაძე ფრიდონ თურმანიძის სახელობის სოფელ მერისის საჯარო სკოლა, III ადგილი „საუკეთესო მხატვრული გადმოცემისათვის" ლინდა გოგიაშვილი იაკობ გოგებაშვილის სახელობის დანდალოს საჯარო სკოლა. ნომინაციაში "განათლება აძლიერებს" გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებულები: I ადგილი „საუკეთესო ესე" ნინო არჯევანიძე უჩხითის საჯარო სკოლა, II ადგილი „კრეატიული ნაშრომი" ვიკა ბერიძე კოკოტაურის საჯარო სკოლა, III ადგილი „საუკეთესო მხატვრული გადმოცემისათვის" მართა ბერიძე დაბა ქედის საჯარო სკოლა.

სხდომის თავმჯდომარე რომან დავითაძემ გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოცხადებული საკონკურსო ესეების შეფასება და გამარჯვებულთა გამოვლენის საკითხი ღია კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

საბჭომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოცხადებულ საკონკურსო ესეებში: „განათლება აძლიერებს" და „ნაბიჯი თანასწორობისაკენ" გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცეთ სერთიფიკატები და წიგნები.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რომან დავითაძემ საბჭოს წევრებს წარმატებული საქმიანობა უსურვა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარე		რომან დავითაძე
საბჭოს მდივანი		მაგდა მახარაძე